სპეციალური ანგარიში 2022

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი 20 წლისაა

სოფიო გორგოძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი

წლევანდელი წელი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის საიუბილეოა - ორგანიზაციას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. ცენტრის თითოეული თანამშრომლისთვის ეს თარიღი საამაყო, მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია...

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, არსებობის 20 წლის განმავლობაში ცენტრმა შეძლო საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში ერთიანი ეროვნული გამოცდების სახით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმის წამოწყება და წლების მანძილზე ტესტირებისა და შეფასების სისტემის შემდგომი განვითარება... რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოების ნდობის მოპოვება და დღემდე შენარჩუნება.

2022 წლის სპეციალურ ანგარიშში სწორედ ცენტრის ოცწლიან ისტორიაზე მოგითხრობთ. მასში შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული პირველი გამოცდები, რა უძღოდა მას წინ და როგორ შეხვდა ამ სიახლეს საზოგადოება. პირველი გამოცდების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პანდემიის პერიოდში ჩატარებული გამოცდები გახლდათ, როდესაც ცენტრმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველაზე რთულ პირობებშიც კი შესაძლებელია დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. ანგარიშში, ასევე, დეტალურად შეიტყობთ, როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესის მზადება ყოველ წელს და რა იცვლებოდა წლიდან წლამდე.

ამ თარიღის აღსანიშნავად შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა საიუბილეო კონფერენციას, სადაც ამჟამინდელმა და ყოფილმა თანამშრომლებმა გაიხსენეს საინტერესო დეტალები ცენტრის ისტორიიდან; იმსჯელეს ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ახალგაზრდების პროფესიული არჩევანი, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებული განსხვავებები და ა.შ. ამავე კონფერენციაზე ცენტრმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა პროექტი „შეფასება განვითარებისთვის“, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი ინიციატივაა სკოლაში სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მხარდასაჭერად.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ საგანმანათლებლო ტესტირებისა და შეფასების სისტემა კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას იმისათვის, რომ ადეკვატური და სანდო შეფასების სისტემის გამოყენებით მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

დაარსებიდან დღემდე. . .

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ოფიციალურად 2002 წლის 10 იანვარს დაარსდა. 2005 წლის 11 ივლისს კი პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდა. დრომოჭმული საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა. უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ახალი მოდელის დანერგვა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება საქართველოში. . . თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო. 1999 წლის შემოდგომაზე განათლების სამინისტროს ინიციატივით უკვე მუშაობდა მცირე ჯგუფი ცენტრალიზებული გამოცდების მოდელზე. მათ მსოფლიო ბანკი აფინანსებდა და ტრენინგებს უტარებდა ევროპული და ამერიკული გამოცდილების გასაცნობად.

ეროვნული გამოცდები

ახალი შესაძლებლობები

2001 წელს გაზეთში „ახალი განათლება“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „განათლების სამინისტროს პრინციპული პოზიცია ის *არის, რომ აუცილებელია ახალი, ობიექტური საგამოცდო მოდელის შემუშავება. ამჟამად მიღებული საგამოცდო პრაქტიკა რომ უამრავ ხარვეზს შეიცავს, დღეს ამაზე ღიად საუბრობენ (განა დღეს ვინმე უარყოფს კორუფციისა და პროტექციონიზმის ფაქტებს? საზოგადოება დაიღალა ამდენი სიყალბით, ახალგაზრდობამ დაკარგა რწმენა, რომ შრომა, უნარი და ცოდნა დაუფასდება, ყველა ნიჰილისტურად განეწყო საგამოცდო კომისიებისა და გამომცდელების მიმართ). სადამდე უნდა შეეგუოს ამას ჩვენი საზოგადოება?. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს შეფასების ისეთი მექანიზმი, როდესაც ყველა გამოსაცდელი აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში იქნება ჩაყენებული და ყველა ნაშრომი ზუსტად ერთნაირი, უნიფიცირებული, სტანდარტული შეფასების სქემით გასწორდება, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას“.** ეს ვრცელი სტატია იყო პასუხი საზოგადოების იმ რეაქციაზე, რომელიც მეცხრე კლასის მოსწავლეებისათვის მომდევნო წელს დაგეგმილ ცენტრალიზებულ სახელმწიფო გამოცდის საცდელ ტესტირებას მოჰყვა.

საზოგადოება არანაირ ნდობას არ უცხადებდა სახელმწიფოს, რაც გასაგებიც იყო, რადგან მე-20 საუკუნის ბოლოს *„ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ვერ ამოდიოდა“. მზექალა შანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში გვიამბობს: „მახსოვს: მივედი ფოსტაში, რაღაც მქონდა გასაგზავნი. ჩემ წინ ქალს ხელში უფორმო პაკეტი ეჭირა. ფოსტის მუშაკმა რომ ჰკითხა, ეს რა არის, როგორ შევფუთოთო, უპასუხა, „შპარგალკები“ არისო. ერთი რაიონიდან „შპარგალკები“ მეორე რაიონში იგზავნებოდა და ხანდახან ასეც ხდებოდა, რომ, ვთქვათ, კახეთიდან და სამეგრელოდან მოსული ორი აბიტურიენტი ზუსტად ერთსა და იმავეს წერდა. ეს ხომ ცოდნა არ არის?“**

მიუხედავად წინააღმდეგობისა, 2002 წელს სახელმწიფო გამოცდები მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის მაინც ჩატარდა და თანაც იმდენად წარმატებულად, რომ 2004 წლის ბოლოსთვის ნიადაგი მზად იყო მისაღები გამოცდების ცენტრალიზებულად გამართვისათვის. ექსპერტთა ნაწილი კვლავ სკეპტიკურად იყო განწყობილი. „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ლოგისტიკის კონსულტანტმა, ლიტველმა ალგიდას ზაბულიონისმა, რომელიც ანალოგიური ცენტრის დირექტორი იყო ლიტვაში, სამ დასკვნაში დაწერა, რომ ეროვნული გამოცდები შეიძლებოდა ვერ შემდგარიყო. . . 2005 წლის მაისში ბათუმში მთლიანი საგამოცდო მოდელის მასშტაბური პილოტირება

* *„ახალი განათლება“, 2001 წლის სექტემბერი, N25, კ. ჯამბურია.*

* *http://sainteresoadamianebi. 1tv. ge/?id=104.*

ჩატარდა. აქტივობას მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ზაბულიონისმა მაშინ ირწმუნა, რომ პროექტი გამოვიდოდა. . . "*

2005 წლის დასაწყისში გამოვიდა საინფორმაციო ბროშურა და გაზეთი სახელწოდებით „ერთიანი ეროვნული გამოცდები 2005 - ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის". გაზეთის პირველივე სათაური იუწყებოდა, რომ მიმდინარე წელს ყველა აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებდა! ამისათვის გამოსაცდელები პირველი მარტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა მისულიყვნენ მათთვის სასურველ სარეგისტრაციო პუნქტში (40-მდე პუნქტი გაიხსნა მთელი საქართველოს მასშტაბით) და გაეკეთებინათ განაცხადი რეგისტრაციის თაობაზე. 2005 წელს აბიტურიენტს მხოლოდ სასურველი 5 ფაკულტეტის არჩევისა და 3 სავალდებულო გამოცდის (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ზოგადი უნარები) ჩაბარების საშულება ჰქონდა. ნაწილი კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოთხოვნის შესაბამისად, მათემატიკის გამოცდასაც აბარებდა. სახელმწიფო დაფინანსება გაიცემოდა 3 გამოცდის შედეგით (ვინც მეოთხე გამოცდას ჩააბარებდა, გამოთვლისას გამოიყენებოდა მათემატიკისა და უცხოური ენების გამოცდების ყველაზე მაღალი ქულა).

პირველ ერთიან ეროვნულ გამოცდებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ცალკეულ წრეებში. იბეჭდებოდა არაერთი კრიტიკის შემცველი სტატია მყვირალა სათაურით. მათ შორის: „ერთიანი ეროვნული გამოცდები - ერის ერთდროულად დაჩლუნგების წინაპირობა", „2005 წლის გამოცდები ყველაზე გაუმჭვირვალე იყო საქართველოს ისტორიაში"

2005 წლის დასაწყისში გამოვიდა საინფორმაციო ბროშურა და გაზეთი სახელწოდებით „ერთიანი ეროვნული გამოცდები 2005 - ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის".

(წესები, უფლება-მოვალეობები, საგენტოები, საგამოცდო ცენტრები, აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები)



და სხვ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უწევდა არაერთი განცხადების გაკეთება უსაფუძვლო ბრალდებების საპასუხოდ. მაგ.: გაზეთის „რეზონანსი"-ს – 2005 წლის 9 დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „გაზეთ „რეზონანში" 1 და 7 დეკემბერს გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების კომპრომენტირების უნიჭო მცდელობად მიგვაჩნია. აღნიშნული წერილები გამოირჩეოდა არაკომპეტენტური დასკვნებისა და ფაქტობრივი უზუსტობების სიუხვით. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აცხადებს, რომ არ აპირებს პოლიტიკურად ანგაჟირებულ „მეცნიერთა" ჯგუფთან პოლემიკის გამართვას, თუმცაღა მზად არის საქმიანი დისკუსიისა თუ ახსნა-განმარტებითი სამუშაოებისათვის."

2006 წლიდან გაფართოვდა არჩევითი გამოცდების ჩამონათვალი - შესაძლებელი გახდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების, ასევე ლიტერატურის ჩაბარება. სამი საგნის ნაცვლად, აბიტურიენტთა ჩარიცხვა 4 საგნის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ხდებოდა. შეიცვალა სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესიც. გადაწყდა, რომ გრანტი არა ყველა გამოცდის, არამედ მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგის მიხედვით გაიცემოდა.

* *ჟურნალი „NAEC. GE" N1 გვ. 4, მ. ახსიაშვილი.*

2008 წლიდან ზოგადი უნარების გამოცდის მშობლიურ ენაზე (სომხური, აზერბაიჯანული) ჩაბარებით შესაძლებელი გახდა სწავლის გაგრძელება ქართული ენის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაზეც. „ამასთან ერთად, უნივერსიტეტებმა უნდა გამოყონ ადგილების 5-5% აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის, და 1-1% - აფხაზური და ოსურენოვანი სტუდენტებისთვის“* ეს რეფორმა ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურებოდა, ჩარიცხვის შემთხვევაში საუკეთესო შედეგების მქონე აბიტურიენტები სრულ, 100%-იან დაფინანსებას იღებენ.

2008-2009 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ გრანტი აბიტურიენტებზე ოთხი საგნის შედეგით (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ზოგადი უნარები და ერთი არჩევითი საგანი) უნდა გაცემულიყო. 2019 წლის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი ზოგადი უნარები არჩევითი საგნების ნუსხაში გადავიდა. რაც შეეხება დაფინანსებას, დღეს ის სამი საგნის (ორი სავალდებულო და ერთი არჩევითი) შედეგით გაიცემა. აბიტურიენტებს საშუალება აქვთ 100, 70 და 50 პროცენტიანი გრანტი მოიპოვონ. 30%-იანი დაფინანსება 2013 წლიდან მოიხსნა. ყოველწლიურად (ბოლო 10 წლის სტატისტიკის მიხედვით) სტუდენტი ხდება საშუალოდ 27 000 – 29 000 აბიტურიენტი, მათგან გრანტს 6500-მეტი აბიტურიენტი იღებს, მათ შორის 100%-იან დაფინანსებას 1000-ზე მეტი, 50%-იან დაფინანსებას 1500-მდე გამოსაცდელი, 50%-იან დაფინანსებას კი 4000-ზე მეტი აპლიკანტი. გარდა ამისა, ყოველწლიურად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული 200-ზე მეტი აბიტურიენტი იღებს 100% დაფინანსებას. 2013 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება აქვთ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხონ, სადაც სწავლა მათთვის სრულიად უფასოა. დაფინანსებული ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

გამოცდები და ტექნოლოგიური ცვლილებები

პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდებისაგან განსხვავებით, 2006 წლიდან ნებისმიერ გამოსაცდელს შეეძლო საკუთარი ნაშრომის ასლისა და შეფასების ნახვა. ინტერნეტში აბიტურიენტთა ნაშრომების შეფასებული ასლები განთავსდა – ამან სისტემა უფრო გამჭვირვალე გახადა. 2007 წლიდან აბიტურიენტთა სარეგისტრაციო განაცხადები ინტერნეტ სივრცეში განთავსდა. საკუთარი განაცხადის გადამოწმება ნებისმიერ აბიტურიენტს ელექტრონულად შეეძლო. ამავე წლიდან მათ 7 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის საშუალება მიეცათ, ნაცვლად ხუთისა. მომდევნო წლიდან კი - 20 პროგრამის ჩაწერის შესაძლებლობა რეიტინგულ სიაში. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს უკვე აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ განაცხადში ყველა ის საგანმანათლებლო პროგრამა მიეთითებინათ, რომლებზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდებოდა - ასარჩევი პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. ასეთმა ცვლილებამ მეორადი ჩარიცხვების საჭიროება მოხსნა. შესაბამისად, მეორადი ჩარიცხვები 2013 წლიდან აღარ ჩატარებულა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ 2008 წლიდან წარმატებით დაინერგა კომპიუტერული გასწორების სისტემა (eMarker). პროგრამა დღესაც უნიკალურია, რადგან შესაძლებლობას აძლევს გამსწორებლებს, გაეცნონ ნაშრომებს სახლიდან გაუსვლელად ისე, რომ გამოსაცდელის იდენტიფიცირება ვერ შეძლონ - გამსწორებელი არა მთლიან ტესტს, არამედ ცალკეულ დავალებებს ხედავს. თითოეულ დავალებას ორი ადამიანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასწორებს. იმ შემთხვევაში, თუ მათი შეფასებები ერთმანეთს არ ემთხვევა, ნაშრომი მესამე სპეციალისტს ეგზავნება. ნაშრომების გასწორების ეს სისტემა უზრუნველყოფს აბიტურიენტთა ინტერესების დაცვასა და შეფასების ობიექტურობას.

* *„საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“, შ. ტაბატაძე, ნ. გორგაძე, კ. გაბუნია.*

*„გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ჭანკოტაძე აღნიშნავს: …გამოცდების მოდელი, რომელიც საქართველომ აირჩია, იმთავითვე გახლდათ ორიგინალური. ეს იყო არსებული მოდელების გაანალიზების საფუძველზე საკუთარ ქვეყანას მორგებული სისტემის შექმნა. ამ პროცესში უცხოელი კონსულტანტებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემდგომმა წლებმა უფრო სრულყო ეს მოდელი. განვითარების პროცესმა განსაკუთრებით დააინტერესა უცხოელი ექსპერტები, რომლებიც 2005 წელს თანამშრომლობდნენ გამოცდების ეროვნულ ცენტრთან. მათი შეფასებით, ამ სფეროში დავნერგეთ სრულიად ახალი მიდგომები. ეს მეთოდები ბევრ განვითარებულ ქვეყანას ან მცირე მასშტაბით ჰქონდა რეალიზებული, ან წლების შემდეგ გეგმავდნენ მსგავსი სიახლის დანერგვას — ვგულისხმობ გამოცდების შემდეგ ნაშრომების გამოქვეყნებას, აბიტურიენტისათვის დეტალური ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში ინტერნეტით მიწოდებას. ასევე, ე. წ. eMarker-ს, ანუ გასწორების ელექტრონულ სისტემას, რომელიც ცენტრში შეიქმნა, იგი ანონიმურობის სრულ დაცვასა და მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. 2011 წელს ამას გამოსაშვები გამოცდები დაემატა — სისტემა, რომლის დანერგვასაც კარგად კომპიუტერიზებულმა ქვეყნებმაც ვერ გაართვეს თავი. “**

2019 წლამდე სკოლის გამოსაშვები გამოცდები მთელი საქართველოს მასშტაბით ერთდროულად 1 600-მდე სკოლაში ტარდებოდა მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებისათვის. მისი მიზანი გახლდათ დაედგინა მოსწავლის მინიმალური კომპეტენცია იმ საგნებში, რომლებიც დამამთავრებელ კლასებში ისწავლებოდა. საატესტატო გამოცდები ე. წ. CAT-ის (Computer Adaptive Testing) ტიპის საგამოცდო მოდელით მთლიანად ელექტრონულად ტარდებოდა. CAT-ის სისტემა გულისხმობდა ადაპტირებულ ტესტს, ორიენტირებულს მოსწავლის შესაძლებლობაზე. . . 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მუშაობა დაიწყო გამოცდების სისტემის ახალ მოდელზე, რომელსაც 8+1 ერქვა. მოდელის მიხედვით, გამოსაშვები 8 გამოცდისა და ერთი მისაღები გამოცდის საფუძველზე უნდა ჩარიცხულიყო აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. 2012 წლის 25 აგვისტოს რადიო თავისუფლების გვერდზე გამოქვეყნდა ვრცელი სტატია სახელწოდებით „ბოლო შედეგები 8+1-ის წინ“. სტატია ასე იწყებოდა: „წელს 24 ათას 501 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. . . ეს იყო აბიტურიენტთა ბოლო მასობრივი გამოცდა, რადგანაც მომავალი წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის ახალი მოდელი - „8+1“ - ამოქმედდება.“ ამავე წლის ნოემბერში ეჭვქვეშ დადგა ამ მოდელის განხორციელების საკითხი: „ერთი-

* *ჟურნალი „NAEC. GE“ N1, გვ. 45.*

ანი ეროვნული გამოცდების სისტემა საქართველოს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთანავე, ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა, რომლის ეფექტურობაზეც ყველა თანხმდება, რადგან იმ დროს დასახული მიზანი აღნიშნული რეფორმის შედეგად ბოლომდე იქნა მიღწეული. აღსანიშნავია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმირების კუთხით მუშაობა მუდმივად მიმდინარეობდა. 2011 წელს პირველად ჩატარდა საატესტატო გამოცდებიც, ხოლო 2012 წელს გამოცხადდა, რომ 2013 წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაცვლად, უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა ჩარიცხვისათვის შემოვიდოდა საატესტატო გამოცდებისა და ზოგადი უნარების გამოცდის რეფორმა (ე. წ. 8+1 მოდელი). საატესტატო და მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ვნებათაღელვა გამძაფრდა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, საატესტატო და მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული გაუგებრობისა და არაინფორმირებულობის გამო. საბოლოოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, ძალაში დატოვოს როგორც საატესტატო, აგრეთვე მისაღები გამოცდები, თუმცა საატესტატო გამოცდები ორ ეტაპად _ მე-11 და მე-12 კლასებში გადაანაწილა."*

„8+1"-ის მოდელი ვერც 2013 და ვერც შემდგომ წლებში ვერ დაინერგა, რადგან განათლების ექსპერტების აზრით, მას მრავალი ნაკლი ჰქონდა. აბიტურიენტებს XI-XII კლასებში 12 გამოცდის ჩაბარება უწევდათ იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინათ სწავლა (8 საატესტატო და 4 მისაღები), რაც გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში. 2019 წლიდან გამოსაშვები გამოცდები გაუქმდა და ატესტატის გაცემა სკოლებში ისევ აკადემიური მოსწრების საფუძველზე ხდება.

ამჟამად ცენტრი ატარებს:

2005 წლიდან

ერთიან ეროვნულ გამოცდებს;

2006 წლიდან

სტუდენტთა საგრანტო კონკურსს;

საგანმანათლებლო კვლევებს;

2009 წლიდან

საერთო სამაგისტრო გამოცდას;

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას;

2010 წლიდან

მასწავლებლის გამოცდას;

2013 წლიდან

საერთაშორისო გამოცდებს;

პროფესიულ ტესტირებას;

2019 წლიდან

საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთა გამოცდას.

* *ჟურნალი „ლიბერალი" 2. 11. 2012 წ. , „საატესტატო და მისაღები გამოცდები საქართველოში", შ. ტაბატაძე.*

სტატისტიკა - 2005 წლიდან დღემდე:

- სტუდენტი გახდა 447 800-ზე მეტი აბიტურიენტი;
- სულ სახელმწიფო გრანტი გაიცა 125 200-მდე სტუდენტზე;
- საგამოცდო ცენტრებში სპეციალური პირობა შეექმნა 3 000-ზე მეტ გამოსაცდელს.
- ბოლო რამდენიმე წელია ცენტრი აბიტურიენტებისათვის გამოცდას 17 საგანში ატარებს. ესენია:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ოსური ენა;
- აფხაზური ენა;
- მათემატიკა;
- ისტორია;
- ინგლისური;
- გერმანული;
- რუსული;
- ფრანგული;
- ბიოლოგია;
- ქიმია;
- ფიზიკა;
- სამოქალაქო განათლება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- ზოგადი უნარები;
- გეოგრაფია;
- ლიტერატურა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები

წელი	დარეგისტრირდა	გამოვიდა გამოცდებზე	მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება
2005	31171	30227	16507
2006	32789	31991	19479
2007	39249	38618	15444
2008	24049	23342	15559
2009	28942	28451	21182
2010	36657	35217	22877
2011	34032	33267	23639
2012	35361	34436	26050
2013	41936	40670	28861
2014	36223	33998	26456
2015	40076	37437	28061
2016	41702	37338	27785
2017	41242	36875	28176
2018	40405	36498	27907
2019	40460	38763	28740
2020	39381	37195	29614
2021	38415	35985	29362
2022	41264	39060	32111

2005-2022

როგორ იგეგმება გამოცდები - ლოგისტიკა და საგამოცდო პროცესი

წინასაგამოცდო მზადება მრავალეტაპიანია და შეიძლება ითქვას, რომ მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს. როგორც წესი, ის ყოველ წელს უკვე ჩავლილი პროცესის შეჯამებით იწყება. ცენტრის თანამშრომლები განიხილავენ ლოგისტიკურ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებს. უმცირესი და ბევრისთვის უმნიშვნელო დეტალიც კი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო და აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ყოველ წელს გამოსაცდელებისათვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნის მიზნით საგანგებოდ ირჩევა საგამოცდო ცენტრები, შესაბამისი სამსახური კი ამზადებს სატენდერო წინადადებებს ყველა საჭირო ინვენტარისა და ნივთის შესაძენად.

ლოგისტიკური საკითხების მოგვარების პარალელურად, აქტიური მუშაობა იწყება საგამოცდო ტესტების შექმნაზეც - ამ ყველაფერზე კვალიფიციური საგნის სპეციალისტებისგან შემდგარი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფი ზრუნავს.

ტესტურ დავალებებზე მუშაობა საკმაოდ შრომატევადია - თითოეული დავალება ხანგრძლივ გზას და მთელ რიგ პროცედურებს გადის მანამ, სანამ გამოსაცდელამდე მივა.

თავდაპირველად ხდება წინა წლის გამოსაცდელთა ნაშრომების შესწავლის საფუძველზე ტენდენციების გამოკვეთა, აგრეთვე საგნობრივი ჯგუფების მიერ გამსწორებელთა მრავალრიცხოვანი გუნდის მოსაზრებების მოსმენა და გათვალისწინება. ამის შემდეგ იწყება დავალებების მომზადება, მუდმივი დახვეწა, შეფასების სქემების შექმნა და საჭიროების შემთხვევაში ამ პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ჩართვა, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. როცა ტესტში ჯგუფს სიახლე შეაქვს, ყოველთვის ხდება დავალებების აპრობაცია.

საბოლოოდ, იქმნება ტესტის რამდენიმე ძირითადი და სათადარიგო ვარიანტი. ხდება ვარიანტების ერთმანეთთან შედარება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი განსხვავება თემატიკისა და სირთულის მიხედვით.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იწყება აბიტურიენტთა ცნობარსა და მაგისტრანტებისათვის განკუთვნილ გზამკვლევზე

მუშაობა. გამოსაცდელებისათვის, გარდა ამ ორი დოკუმენტისა, დამატებითი და მუდმივი ინ-ფორმაციის წყაროა ღია კარის დღეებიც საგნობრივი ჯგუფების მონაწილეობით - ამ ტიპის შეხვედრები როგორც პირისპირ, ასევე ელექტრონულ რეჟიმში მთელი წლის განმავლობაში იმართება.

იმისათვის, რომ გამოცდები სრულყოფილად ჩატარდეს, მხოლოდ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მუშაობა არ არის საკმარისი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველ წელს იწვევს საორგანიზაციო ჯგუფს, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენელი, თბილისის მერია და რამდენიმე ინტერნეტ პროვაიდერია ჩართული.

საორგანიზაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა, ტრადიციულად, მაისში იმართება. ცენტრი აწვდის მათ დეტალურ ინფორმაციას სიახლეებისა და საჭიროებების შესახებ. შეხვედრა საორგანიზაციო ჯგუფთან წელიწადში ორჯერ ტარდება და განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა საგამოცდო ცენტრების დენის უწყვეტი მომარაგება, სასწრაფო და სახანძრო დახმარების უზრუნველყოფა, გზების მოწესრიგება, ტრანსპორტირება (რომელი ცენტრების მიმართულებით იმოძრავებს დამატებითი ტრანსპორტი) და სხვ. შეჯერებული ინფორმაცია, სქელტანიანი დოკუმენტის სახით, ივნისის თვეში, ყველა საგამოცდო პროცესში ჩართულ დაწესებულებას ეგზავნება. მასში გაწერილია ყველა ცენტრის მისამართი და წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე ის მოვალეობები, რომლებიც უნდა შეასრულოს გამოცდების ლოგისტიკურ ნაწილში ჩართულმა უწყებებმა. მაგალითად მითითებულია ისეთი დეტალები, როგორებიცაა: დამატებითი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი, საგამოცდო ცენტრებიდან ნაგვის გატანის დროები, ბრალდებული/მსჯავრდებული პატიმრების ბადრაგირების უზრუნველყოფის დეტალები, ნამუშევრების ტრანსპორტირების მიმართულებები საგამოცდო ცენტრებიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სხვ.

წინასაგამოცდო საქმიანობიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდების განრიგის შექმნაა - მნიშვნელოვანია, რომ ყველა სესია თანაბრად იყოს დატვირთული, აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ე. წ. „გამოცდების გადაფარვა“ - მაგ. , თუ ადამიანი საერთო სამაგისტროსა და მასწავლებლის გამოცდას ერთად აბარებს, მას უნდა შეეძლოს ორივეზე და თანაც სხვადასხვა დღეს გასვლა. გამოსაცდელთა განაწილების დოკუმენტი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ეგზავნება, რომლის საფუძველზეც ის ელექტრონულ ბაზას ამზადებს - ამის შემდეგ იწყება პირთა შემთხვევითი განაწილება სექტორებში.

მანამდე კი დარეგისტრირებულთა რაოდენობის გათვალისწინებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ამზადებენ პასუხების ფურცლებს და ფურცლებს შავი სამუშაოსათვის, ასევე დამხმარე მასალას: რუკებსა და ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ სისტემას. ამ მასალებთან ერთად უზრუნველყოფენ საკანცელარიო, სამედიცინო და სამეურნეო ნივთების საწყობებში განთავსებას და სხვ.

ყოველ წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს გადასცემს გამოცდების ჩატარების მიზნით დროებით სარგებლობაში 10 000-დან 20 000-მდე კომპიუტერს. ცენტრის თანამშრომლები პასუხს აგებენ მათ გამართულ მუშაობაზე, - წინასწარ ხდება კომპიუტერების სპეციალური პროგრამით აღჭურვა, შემოწმება, ამასთან ერთად საგამოცდო სერვერების მომზადება.

ცენტრების აღჭურვა გამოცდებამდე იწყება დაახლოებით 10 დღით ადრე, რაც იმას ნიშნავს, რომ სამზადისი შემდეგ ეტაპზე გადადის და ის უკვე საგამოცდო ცენტრებში ინაცვლებს. ცენტრის სხვა თანამშრომლებთან ერთად პროცესს ადგილზე ახლა უკვე წარმართავენ საგამოცდო ცენტრების მიხედვით შერჩეული ადმინისტრატორ-კოორდინატორები, IT მენეჯერები, თანაშემწეები და სხვა ტექნიკური პერსონალი.

ყოველ წელს საგამოცდო ცენტრებში სულ 2 000-მდე ადმინისტრატორ-კოორდინატორი და მეთვალყურე-კურატორი მუშაობს. მონაცემთა ბაზაში სულ 3 ათასამდე პირია. გამოცდების დაწყებამდე ისინი სპეციალურ ტრენინგებს გადიან და შესაბამის ტესტირებას აბარებენ. ბაზა მუდმივად ახლდება.

საგამოცდო პროცესს 1 დღით ადრე ყოველთვის წინ უსწრებს გენერალური რეპეტიცია (გამოცდის იმიტირებული პროცესი) - აქ ხდება ყველა დეტალის ზედმიწევნით გავლა იმისათვის, რომ მომდევნო დილით ყველა ცენტრი სრულყოფილად იყოს მზად გამოსაცდელების მისაღებად.

პირველ საგამოცდო დღეს მართალია განსაკუთრებული ღელვა ახლავს, თუმცა პროცედურულად სხვა საგამოცდო დღეების მსგავსი და სტანდარტულია - კონკრეტული საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორი კოორდინატორთან ერთად პირველი მიდის სამსახურში და ყველა სექტორსა და ოთახს ამოწმებს. 07:00 საათზე ადმინისტრატორებსა და კოორდინატორებს მეთვალყურე-კურატორები უერთდებიან, რომლებიც რეგისტრაციას გადიან. ამის შემდეგ კი სექტორების სრულად მზადყოფნაში მოყვანა იწყება. ოთახები ნიავდება, შესაბამისად ნაწილდება პასუხების ფურცლები და კალმები, დამლაგებელი და მეეზოვეც თავის საქმითაა დაკავებული. პერიმეტრზე შემოდიან საპატრულო, სახანძრო და სასწრაფოს მანქანები. . . 08:00 საათზე ცენტრი გამოსაცდელთა მისაღებად უკვე მზად არის.

გამოსაცდელს რეგისტრაციის გასავლელად პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საგამოცდო ბარათი სჭირდება, საგამოცდო ბარათზე მითითებულია პირის პირადი ინფორმაცია, საგამოცდო ცენტრის მისამართი, სექტორისა და მაგიდის ნომერი, ასევე რეგისტრაციის დაწყების დრო. დაგვიანების შემთხვევაში პირი გამოცდაზე აღარ დაიშვება. როდესაც რეგისტრაციის დასრულებამდე 10 წუთია დარჩენილი, ცენტრის თანამშრომლები მიდიან ჭიშკართან და პერიმეტრს კარგად ათვალიერებენ - თუ სადმე აბიტურიენტს დაინახავენ, ცდილობენ დააჩქარონ, რომ დაგვიანების გამო არ გამოეთიშოს საგამოცდო პროცესს.

ყოველდღიურად საქართველოს მასშტაბით გახსნილი ცენტრები საშუალოდ 7 000-ზე მეტ გამოსაცდელს იტევს. თითოეულ მაგიდაზე ერთნაირად აწყვია პორტატული კომპიუტერი, პასუხების ფურცელი და კალამი. ყველა გამოსაცდელს შეუძლია მოითხოვოს კალმის გამოცვლა და ფურცლები შავი სამუშაოსათვის, ასევე ახალი პასუხების ფურცელი მისი დაზიანების შემთხვევაში. პასუხების ფურცლის გამოცვლა ფორმდება სპეციალური ოქმით. შავი ფურცლები არ სწორდება, თუმცა მათი გატანა ინფორმაციის გავრცელებად ითვლება და აკრძალულია. პასუხების ფურცლები ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

როგორც ხედავთ, საგამოცდო პროცესი მრავალეტაპიანი, შრომატევადი და სკრუპულოზურია. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის ის ბოლომდე დასრულებულად მხოლოდ მას შემდეგ ითვლება, რაც ინვენტარი დაბრუნდება, აღიწერება და დასაწყობდება.

სხვა გამოცდები

გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა, 2005 წელს ცენტრმა ჩაატარა საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევი ტესტირება და ექსტერნატის გამოცდები. წლების განმავლობაში იღებდა შეკვეთებს საჯარო მოხელეთა შესარჩევ ტესტირებასა და სკოლის გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაცია ყოველ წელს ადმინისტრირებას უწევს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან გამოცდებს, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

სტუდენტთა საგრანტო კონკურსი

სტუდენტთა საგრანტო კონკურსი შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს, მოიპოვონ ან გაიუმჯობესონ საგრანტო დაფინანსება. მასში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხულ ყველა იმ სტუდენტს, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ვერ მოიპოვეს ან მხოლოდ ნაწილობრივი დაფინანსება მიიღეს.

თუ სტუდენტმა ვერ გაიუმჯობესა შედეგი, მას უნარჩუნდება მანამდე მოპოვებული გრანტი და რჩება უფლება, ყოველ მომდევნო წელს თავიდან დარეგისტრირდეს სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე (არ ფინანსდება დამატებითი სემესტრები). სახელმწიფო ასიგნებებიდან ამ კონკურსისთვის გამოყოფილი თანხა რეიტინგული მაჩვენებლის მიხედვით გადანაწილდება საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგანგებოდ ამ გამოცდისთვის შემუშავდა ტესტის ფორმატი და ყოველწლიურად სპეციალურად სტუდენტებისათვის მზადდება ტესტური დავალებები მათი ზოგადი აკადემიური უნარების შესაფასებლად.

2022 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო 2500-ზე მეტმა გამოსაცდელმა. გრანტი გაიუმჯობესა 250-მდე სტუდენტმა.

საერთო სამაგისტრო გამოცდა

საქართველოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე (გარდა საღვთისმეტყველო, საშემსრულებლო და სასპორტო საგანმანათლებლო სპეციალობებისა) სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დანიშნული გამოცდის/ გამოცდების ჩაბარება.

საერთო სამაგისტრო გამოცდის მიზანია:

- დაეხმაროს უმაღლეს სასწავლებლებს მაგისტრანტების შერჩევაში;
- გამორიცხოს მაგისტრატურაში ისეთი სტუდენტების მიღება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სწავლების ამ საფეხურისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;
- უზრუნველყოს მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესის მეტი ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

საერთო სამაგისტრო გამოცდასთან ერთად საქართველოში დაინერგა მაგისტრატურის დაფინანსების ახალი, სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებაზე ორიენტირებული სისტემა.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან სამში ზღვრის გადალახვა საკმარისია იმისათვის, რომ გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვალოს. დეტალური ინფორმაციის ნახვა მაგისტრანტობის მსურველებს შეუძლიათ გზამკვლევში, რომელიც ცენტრის ვებგვერდზე ყოველწლიურად რეგისტრაციის დაწყებისთანავე ქვეყნდება.

2017-2019 წლებში საერთო სამაგისტრო გამოცდაზე, მიმართულებების მიხედვით, შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა ტიპის ტესტები. მაგისტრანტობის თითოეულ მსურველს მათგან გამოცდაზე უნდა შეესრულებინა მხოლოდ ერთი. მაგალითად: A ტიპის ტესტი ბარდებოდა ძირითადად ჰუმანიტა-

რულ მიმართულებებზე, B ტიპის - ტექნიკურზე, C - სამართლაზე. 2020 წლიდან ეს შეზღუდვა მოიხსნა. ერთი ტიპის ტესტის არსებობამ გაამარტივა და უფრო მოსახერხებელი გახადა მობილობის პროცესი სამაგისტრო პროგრამებზე.

წელი	ჩაირიცხა სამაგისტრო პროგრამაზე	გრანტი მოიპოვა
2009	2964	920
2010	3766	923
2011	4434	889
2012	4029	901
2013	4696	895
2014	5997	895
2015	6505	896
2016	6498	895
2017	7488	895
2018	6084	893
2019	6101	892
2020	7711	891
2021	7074	890
2022	5296	891

მასწავლებლის საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდა

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2010 წლიდან დაიწყო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით ყველა მოქმედი მასწავლებელი ვალდებული იყო 2014 წლამდე ჩაებარებინა „მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები“, სხვა

შემთხვევაში მას სტატუსი შეუჩერდებოდა. თუმცა 2014 წელს ეს ვადა გაუქმდა, მოგვიანებით კი რამდენიმე წლით გახანგრძლივდა. 2017 წელს ეს ვალდებულება მასწავლებლებს საერთოდ მოეხსნათ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით მოქმედი მასწავლებლებისათვის გაუქმდა ზღვარი, შესაბამისად შეიცვლა სახელწოდებაც და ტესტირებას „მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურება“ დაერქვა. შედეგები ეგზავნებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელსაც ის შესაბამისს კრედიტქულებში გადაჰყავდა. კრედიტების შევსება სხვადასხვა აქტივობითაც გახდა შესაძლებელი.

2021 წელს ყველა მოქმედ მასწავლებელს (გარდა არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისა), რომელსაც არ ჰქონდა ჩაბარებული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდები, შეუწყდა მასწავლებლის სტატუსი. მას მხოლოდ ხელშეკრულებით დასაქმების შესაძლებლობა მიეცა სქემაში ჩართვის გარეშე.

გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I – IV კლასები);
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია;
- უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული;
- ესთეტიკური აღზრდის საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2016 წლიდან არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს შეუძლიათ მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ ან სომხურ) ენაზე თარგმნილ საგნობრივ ტესტზე იმუშაონ. ცენტრის მიერ გადამზადებული გამსწორებლები თარჯიმნების დახმარებით ასწორებდნენ ასეთ ნამუშევრებს.

2020 წლის ჩათვლით მოქმედ მასწავლებელს შეეძლო ჩაებარებინა როგორც საგნის, ისე პროფესიული უნარების გამოცდა. 2021 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა პირველად ჩაატარა უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა პროფესიულ უნარებში. ტესტი მოიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიისა და სასწავლო რესურსის გამოყენებას, შეფასებასა და მასწავლებლის პროფესიულ პასუხისმგებლობას.

2022 წელს ცენტრმა გაუწია ორგანიზება და პირველად ჩაატარა გამოცდა პროფესიულ უნარებში წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთათვის. წინასწარ შემუშავდა საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნო მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს - მასში განსაზღვრული იყო წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისათვის დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები.

აგრეთვე წელს ჩატარდა პირველად ორი ახალი გამოცდა არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის, კერძოდ, აზერბაიჯანული და სომხური ენების მასწავლებლებისათვის.

პროფესიული ტესტირება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად ტესტირება ცენტრალიზებურად 2013 წლიდან ტარდება და კონკრეტული სახელობო პროფესიის დაუფლებისათვის მნიშვნელოვანი, მინიმალური (საბაზო) ცოდნისა და სპეციფიკური უნარების შეფასებას ითვალისწინებს. პროფესიული ტესტირების მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარები და შესაძლებლობები.

ამ გამოცდისათვის ცენტრში სპეციალურად შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ტესტები, მათ შორის: ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერებისა და საბაზო უნარების.

2021 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მსურველებს მისცა შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში გაევლოთ საცდელი ტესტირება და სახლიდან გაუსვლელად გასცნობოდნენ პროგრამის მოხმარების თავისებურებებსა და ტესტური დავალების ნიმუშებს.

2022 წელს მიღება 600-ზე მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იყო გამოცხადებული. პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის სურვილი 24 500-მდე აპლიკანტმა გამოთქვა. აქედან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი 9 300-ზე მეტი გამოსაცდელი გავიდა, ხოლო 2 900-ზე მეტმა მსურველმა საბაზო პროფესიულ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ჩააბარა ზოგადი უნარების გამოცდა. რიგ პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტები თავად პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეარჩიეს.

საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთა გამოცდა

გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა აქვთ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობდნენ/სწავლობენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი სემესტრისა (75 დღე).

საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველები მათთვის საგანგებოდ მომზადებულ ტესტს აბარებენ, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან: წაკითხულის გააზრება, ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა. გამოცდა წელიწადში ორჯერ - თებერვალსა და სექტემბერში ტარდება. 2022 წელს გამოცდა მესამედაც ჩატარდა, მასში მონაწილეობის უფლება მიეცათ იმ პირებსაც, რომლებიც პანდემიის პერიოდში განათლებას იღებდნენ დისტანციური სწავლების ფორმით.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას 2009 წლიდან ცენტრალიზებულად ატარებს საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, რომელთა რეგისტრაციასაც სკოლა უზრუნველყოფს. ცენტრის მიერ მომზადებული დავალებებით სკოლაშივე იმართება პირველი ტური, ხოლო მეორე და მესამე ტურს ცენტრალიზებულად თავად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანი სასწავლო პროცესის სტიმულირება და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებაა. ასევე, იმ ნაკრებებისათვის კანდიდატების გამოვლენა, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს სახელით მიიღებენ მონაწილეობას.

ოლიმპიადა ტარდება ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. პირველ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 130 ათასმა მოზარდმა.

2021-2022 სასწავლო წელს პირველ ტურში მონაწილეობის სურვილი 31 900 ზე-მეტმა მოსწავლემ გამოთქვა და არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით ის განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. მონაწილეობის მიღება მოსწავლეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეეძლოთ.

მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს იმ მონაწილეებმა, რომლებმაც დააგროვეს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% ან მეტი და, ამასთან ერთად, მოხვდნენ საგნის რეიტინგული სიის პირველ 1 000 მოსწავლეს შორის. მესამე ტურში კი ის მოსწავლეები გადავიდნენ, რომლებმაც შესაბამისი საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის არანაკლებ 50% დააგროვეს და მოხვდნენ შესაბამისი კლასისა და საგნის რეიტინგული სიის პირველ ორმოცდაათ მონაწილეს შორის. სულ მეორე ტურში 6 000-ზე მეტი, მესამე ტურში კი 600-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა.

ოლიმპიადის გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც დააგროვებს შესაბამისი საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ს და მოხვდება შესაბამისი კლასისა და საგნის რეიტინგული სიის პირველ ათ მონაწილეს შორის. გამარჯვებულები დიპლომებითა და სასაჩუქრე ვაუჩერებით ჯილდოვდებიან.

ტექნოლოგიური სიახლეები და გამარტივებული პროცედურები

2005 წელს გამოცემულ საგამოცდო ცნობარში დაიბეჭდა სარეგისტრაციო განაცხადის ნიმუში, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა განაცხადი აბიტურიენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების თაობაზე. აბიტურიენტი უთითებდა პირად ინფორმაციასა და იმ 5 ფაკულტეტის ჩამონათვალს, რომლებზეც სურდა სწავლის გაგრძელება. განაცხადი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში რჩებოდა, რომელიც შემდეგ უზრუნველყოფდა მათ გამოგზავნას შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. . . დღეს ეს პროცედურა მნიშვნელოვნად გამარტივებულია. ერთი თვის განმავლობაში აბიტურიენტს შეუძლია არაერთხელ შეიტანოს სარეგისტრაციო განაცხადში ცვლილება ნებისმიერი ხელმისაწვდომი კომპიუტერიდან ან მობილური ტელეფონის გამოყენებით. 2016 წლიდან რეგისტრაცია სამეტაპიანი გახდა. აბიტურიენტებს პირადი მონაცემების შეტანა, საგამოცდო ქალაქისა და ჩასაბარებელი საგნების არჩევა პირველ, ძირითად ეტაპზე შეუძლიათ ერთი თვის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ აბიტურიენტი ვეღარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, მაგრამ შეეძლება გამოცდის დამატება ან შეცვლა, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის საშუალება აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით აქვს - საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღით ადრე.

გამოსაცდელებისათვის რეგისტრაცია ელექტრონული მხოლოდ 2011 წელს გახდა და ისიც იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებიც სკოლას მიმდინარე წელს ამთავრებდნენ;

2012 წლიდან რეგისტრაცია მიმდინარეობს უკვე ყველა აპლიკანტისათვის სრულად ელექტრონულად, ნებისმიერი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა და მოსახერხებელი გახადა რეგისტრაციის პროცესი.

2014 წლიდან დაინერგა ქულათა გათანაბრების მეთოდი. ქულების გათანაბრება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ტესტის რამდენიმე ვარიანტი გამოიყენება. ამ მექანიზმის ამოცანაა ვარიანტებს შორის სირთულის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების კონპენსირება, რაც სისტემას ხდის უფრო სამართლიანს და თანაბარ პირობებში აყენებს თითოეულ აბიტურიენტს.

2016 წლიდან გამარტივებულია საგამოცდო ბარათის აღების პროცედურაც. თუ ადრე მისი აღება საგანმანათლებლო რესურსცენტრებში იყო შესაძლებელი, ახლა მას ყველა გამოსაცდელი უკვე თავის სარეგისტრაციო გვერდზე ხედავს და დაკარგვის შემთხვევაში შეუძლია ხელახლა ამობეჭდოს ნებისმიერი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან. საგამოცდო ბარათი, პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად, არის ყველა აპლიკანტის „საშვი“ მთელი საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, მასზე დატანილია პირის პირადი ინფორმაცია, ასევე საგამოცდო ცენტრის მისამართი, რეგისტრაციის დაწყების დრო და თარიღი. 2020 წლიდან ბარათზე მითითებულია საგამოცდო სექტორისა და მაგიდის ნომრებიც, რაც აადვილებს რეგისტრაციის პროცესს.

2016 წელს გამოცდები პირველად ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდა. ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებდა. ახალი ფორმატის დანერგვის შედეგად მონაწილე დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე ხედავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან წერს. გამოცდის ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლით ცენტრმა დაახლოებით 600 000 ლარი დაზოგა, რომელიც ყოველწლიურად ტესტების დასაბეჭდად იყო გამოყოფილი. კონფიდენციალობის დაცვის მიზნით ყველა გამოცდის ტესტი დასაბეჭდად ინგლისში „სტივენ ოსტინის“ სტამბაში იგზავნებოდა. ტესტებს კონფიდენციალური დოკუმენტაციის ბეჭდვაში აღიარებული ავტორიტეტული კომპანია „სტივენ ოსტინი“ იმ დროისთვის მსოფლიოს 4 კონტინენტზე 20 ქვეყნის საგამოცდო ცენტრსა და განათლების სამინისტროს ემსახურებოდა. ტესტების შეფუთვისა და ტრანსპორტირებისას დაცული იყო უსაფრთხოების ყველა ზომა – საგამოცდო ტესტები თავსდებოდა სპეციალურ პოლიეთილენის პაკეტებში, რომელთა გახსნა დაზიანების გარეშე შეუძლებელია. პაკეტები ეწყობოდა ყუთებში და ილუქებოდა. დალუქული ყუთები თავსდებოდა კონტეინერებში, რომლებსაც სამი სხვადასხვა ტიპის ლუქი ედებოდა. მასალა გემით იგზავნებოდა საქართველოში და შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობით საგანგებოდ ინახებოდა. გამოცდის დღეს ტესტები სპეციალური ექსკორტით იგზავნებოდა საგამოცდო ცენტრებში. მისი გახსნა უშუალოდ გამოცდის დაწყებამდე იყო შესაძლებელი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები და საქართველო

2006 წლიდან საქართველო იმ ქვეყნებს შეუერთდა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში. მათ ადმინისტრირებას საქართველოში ტრადიციულად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს.

კვლევები მიზნად ისახავს:

- შეაფასოს მოსწავლეთა მიღწევები და მათი ცვლილება დროში;
- აღმოაჩინოს მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების სისტემური, მეთოდოლოგიური და კონტექსტური მიზეზები;
- შემოგვთავაზოს რეკომენდაციები შედეგების გასაუმჯობესებლად.

2006 წლიდან დღემდე საქართველომ მონაწილეობა მიიღო შემდეგ კვლევებში:

PIRLS - წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, აფასებს კითხვის უნარებს მე-4 კლასის მოსწავლეებში. საქართველო PIRLS-ში 2006 წლიდან ჩაერთო და მას შემდეგ მონაწილეობა მიიღო 2011, 2016 და 2021 წლების კვლევებში.

TIMSS - მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა, აფასებს მე-4 და მე-8 კლასების მოსწავლეების მიღწევებს. შეფასებაში პირველად საქართველო 2007 წელს ჩაერთო და მას შემდეგ მონაწილეობა მიიღო 2007, 2011, 2015 და 2019 წელს ჩატარებულ კვლევებში. ამჟამად მიმდინარეობს 2023 წლის კვლევის ძირითადი საველე სამუშაოები.

PISA - მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო შეფასების პროგრამა 15 წლის მოზარდებში, აფასებს კითხვის, მათემატიკისა და მეცნიერებების უნარებს. საქართველო PISA-ში, როგორც პარტნიორი ქვეყანა, ჩაერთო 2009 წლიდან, მას შემდეგ მონაწილეობდა 2015, 2018 და 2022 წლების ციკლებში.

TEDS-M - მათემატიკის მომავალ მასწავლებელთა მომზადების საერთაშორისო კვლევა. კვლევის მიზანია მასწავლებელთა განათლების პროგრამების სრულყოფა და ამგვარად სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა. მასში მონაწილეობა საქართველომ 2008 წელს მიიღო.

TALIS-ის კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, შეისწავლოს მასწავლებელთა საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირითადი ასპექტები და, მეორე მხრივ, გააცნოს ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ საქმიანობის თავისებურებანი. საქართველო კვლევას 2013 წელს შეუერთდა და 2018 წელს მეორედ მიიღო მასში მონაწილეობა.

ყოველწლიურად მზადდება საერთაშორისო და სახელმწიფო კვლევების ანგარიშები, რომლებიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზეა (www.naec.ge) გამოქვეყნებული.

აღნიშნული კვლევების მიხედვით, 2022 წლის 22 ნოემბერს ცენტრის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი აქტუალური თემები:

- „სამეცნიერო (STEM) კარიერასთან დაკავშირებული გამოწვევები და 15 წლის მოსწავლეების პროფესიული არჩევანი“ - მოდერატორი გიორგი ჭუმბურიძე;

პრეზენტაციისას განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: 1) არსებული გენდერული სტერეოტიპების გავლენა სამეცნიერო მიმართულებით კარიერულ არჩევანზე; 2) საქართველოს საბაზო საფეხურის მოსწავლეების მიღწევები კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში; 3) 15 წლის მოსწავლეების სამომავლო პროფესიული არჩევანი; 4) აბიტურიენტების კარიერული არჩევანი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

- „TIMSS 2019 შეფასების დავალებებზე მოსწავლეთა პასუხების ანალიზი შინაარსობრივი და კოგნიტური სფეროების მიხედვით“ - მოდერატორი ზაქარია გიუნაშვილი, ლიკა ზაალიშვილი;

წარმოდგენილი იყო მასალა, რომელშიც განხილულია მოსწავლეთა პასუხების ანალიზი შეფასებაში გამოყენებული დავალებების სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, კერძოდ: რომელ შინაარსობრივ და კოგნიტურ სფეროში აქვთ ქართველ მოსწავლეებს უკეთესი და უარესი შედეგი TIMSS 2019 საერთაშორისო შეფასებაში; როგორია მოსწავლეთა მიღწევები დავალებების ტიპებისა და შინაარსის მიხედვით; რა კავშირია ეროვნულ სასწავლო გეგმას, მის რეალიზაციასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის; რა კავშირია მასწავლებლის პრაქტიკასა და მოსწავლის მიღწევას შორის სხვადასხვა მიმართულებით.

- TIMSS 2019-ის გამოქვეყნებული დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომათა ანალიზი. გაიმართა დისკუსიაც.

„დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებული სხვაობები საქართველოში“ - მოდერატორი გიორგი რატიანი, ნუცა მჭედლიშვილი.

საუბარი შეეხო იმას, თუ რა ფაქტორები შეიძლება განაპირობებდეს სკოლის, კლასისა და მოსწავლის ინდივიდუალურ დონეზე არსებულ განსხვავებებს (სასკოლო კულტურა, სასკოლო პრაქტიკა და კლიმატი, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული რესურსები, სკოლის ადგილმდებარეობა, ტიპი და სხვ).

გამოცდები ყველასთვის

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების პირველივე წელს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ყველა გამოსაცდელისთვის თანაბარი პირობების შექმნა განისაზღვრა. პირობას - „გამოცდები ყველასთვის“ ცენტრი დღემდე ასრულებს - სხვადასხვა გამოცდას ცენტრის ადმინისტრირებით ყოველ წელს ასობით სპეციალური საჭიროების მქონე გამოსაცდელი აბარებს. მათ შორის არიან უსინათლოები, სმენადაქვეითებულები, ცერებრალური დამბლით დაავადებული და შეზღუდული მოტორული ფუნქციების მქონე პირები და სხვ. საგანგებოდ მათთვის საგამოცდო ცენტრებში სხვადასხვა სპეციალური პირობა იქმნება. განსაკუთრებული შემთხვევების დროს აბიტურიენტს შეუძლია მეთვალყურეს უკარნახოს ტესტური დავალებების პასუხები და ამ ფორმით ჩააბაროს გამოცდა. 2006 წლიდან გამოცდების ეროვნულ ცენტრში უსინათლოებისთვის სპეციალურად ბრაილის შრიფტით იქმნება საგამოცდო ტესტები, ასევე ტესტური დავალებები მიეწოდებათ სპეციალური ხმოვანი პროგრამით, ეწყობა გამოსაცდელის საჭიროებებზე მორგებული სივრცე, ხანგრძლივდება საგამოცდო დრო და სხვ. ცენტრი მუდმივად მუშაობს სისტემის კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებაზე.

მოგვიანებით გამოცდებზე შესაძლებელი გახდა გასვლა ბრალდებულებისთვისაც/მსჯავრდებულებისთვისაც. ამ ინიციატივით 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიმართა. ამავე წელს დადგა საკითხი, თუ როგორ შეიძლებოდა უკეთესად მომზადებულიყვნენ მსჯავრდებულები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. გადაწყდა, რომ დაპატიმრებისთანავე არასრულწლოვანი 123-ე საჯარო სკოლაში ჩაირიცხებოდა, რომლის პედაგოგებსაც უფლება ექნებოდათ ყოველდღიურად, ჩვეულებრივ სასკოლო რეჟიმში ჩაეტარებინათ მათთვის გაკვეთილები. პირველივე სასწავლო წელს შვიდმა მსჯავრდებულმა წარმატებით დაძლია ეროვნული გამოცდები. მათგან პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ იქნა სამი. დანარჩენი ოთხიდან სამი სხვადასხვა დროს გათავისუფლდა და გააგრძელა სწავლა („Naec. ge” N2 გვ. 17-19.).

„ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს გამოცდებში მონაწილეობის მიღება უმაღლებს მოტივაციას და პოზიტიური ცვლილებებისკენ განაწყობს. ხშირ შემთხვევაში ხდებიან სტუდენტები და აგრძელებენ განათლების მიღებას სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე ეუფლებიან პროფესიას. უმაღლესი განათლების პროცესში ჩართულობა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ეხმარება ადაპტაციასა და გარესამყაროსთან კომუნიკაციაში, ასევე, ხელს უწყობს მათ რესოციალიზაციას. “ - თამარ ჟველია, სპეციალური პენიტენციული სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

ცენტრის პროექტები

ცენტრის ინიციტივით, 2006 წლიდან 2016 წლამდე ტარდებოდა შავი ზღვის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ათეულობით ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს ექსპერტი იღებდა მონაწილეობას.

2013 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადმინისტრირებას უწევს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო გამოცდებს. ამ შესაძლებლობის გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, მათ შორის - მოსწავლეებს, სტუდენტებსა და მაგისტრანტებს. ცენტრს მოპოვებული აქვს საქართველოში კემბრიჯის, TOEFL-ის, ACCA-ს კომპიუტერული და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების უფლება.

2013 წლიდან დღემდე:

TOEFL-ის გამოცდა ჩააბარა 900-მდე გამოსაცდელმა;

ACCA-ს გამოცდა - 650-მდე გამოსაცდელმა;

კემბრიჯის გამოცდები კი - 25 000-მდე მსურველმა.

2014-2017 წლებში ცენტრი ადმინისტრირებას უწევდა პროექტებს: „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა“ და „სტუდენტები თვითმმართველობისათვის“. პროექტების მიზანი ახალგაზრდა თაობაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებისა და დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო.

2017-2018 წელს ცენტრი ატარებდა პროექტ - CERTUS-ის ფარგლებში ინგლისური ენის ფლობის დონის განმსაზღვრელ ტესტირებას. ამ მიზნით თანამშრომლობდა არაერთ კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციასთან. CERTUS-ის ფარგლებში გაცემული უცხოური ენის სერტიფიკატის მფლობელებს აღარ ჰქონდათ უცხოური ენის გამოცდის ჩაბარების ვალდებულება. მოგვიანებით პროექტი დროებით შეჩერდა. ამჟამად ცენტრი აქტიურად მუშაობს პროექტის აღდგენაზე - უახლოეს მომავალში მსურველებს კვლავ ექნებათ ტესტირებაზე გასვლის შესაძლებლობა.

2013-2019 წლებში ცენტრი გამოსცემდა სქელტანიან შემეცნებით ჟურნალს „NAEC.GE“.

2019 წელს ცენტრმა დაიწყო ახალ პროექტზე „შეფასება განვითარებისათვის“ მუშაობა.

მისი მიზანია ელექტრონული პლატფორმის დახმარებით მეოთხე და მეექვსეკლასელების მიღწევების შეფასება სასწავლო წლის ბოლოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წიგნიერება) და აგრეთვე მათემატიკაში (რაოდენობრივი წიგნიერება). შედეგები დაეხმარება მასწავლებლებსა და მშობლებს, თვალი ადევნონ სასწავლო პროცესის მანძილზე მიღწეულ პროგრესს და მიიღონ ინფორმაცია მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ.

2020-2021 წლები

გამოცდები პანდემიის პირობებში



„მიუხედავად იმისა, რომ ეეგ-ის შემოღება ყველაზე ხშირად კორუფციის აღმოფხვრასთან ასოცირდება, პოლიტიკის დოკუმენტების, პოლიტიკოსებთან და განათლების სფეროს ექსპერტებთან იმდროინდელი ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ ეეგ-ის შემოღების სამი ძირითადი მიზანი: 1. კორუფციასთან ბრძოლა; 2. ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემა; 3. მერიტოკრატიული შერჩევის უზრუნველყოფა“. *

ლელა ჩახაია თავის კვლევაში „სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში“ (2019 წ.) წერს: „ერთიანი ეროვნული გამოცდები კორუფციას დაუპირისპირდა შემდეგი საშუალებებით:

- *უნივერსიტეტებისათვის სტუდენტების მიღების უფლების ჩამორთმევა;*
- *გამოცდების სტანდარტიზება;*
- *გამოცდების კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის უზრუნველყოფა.*

*ეროვნული გამოცდების წარმატება კორუფციასთან ბრძოლაში არაერთხელ აღიარეს სხვადასხვა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა (Transparency International, 2006; World Bank, 2009). მოსახლეობის მიერ ეეგ-ის შემოღება თავიდანვე დიდ წარმატებად აღიქმებოდა. 2005 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ აბიტურიენტებისა და მათი მშობლების 80% და უნივერსიტეტების ადმინისტრაციის 80-დან 90%-მდე გამოცდების ახალ სისტემას ნდობას უცხადებდა (Transarency International, 2006). რესპონდენტთა 78. 2%-მა ეეგ შეფასების ყველაზე სამართლიან და გამჭვირვალე სისტემად დაასახელა. თვისებრივი კვლევის შედეგად დადასტურდა ეეგ-ის მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი ნდობა. როგორც ფოკუს-ჯგუფებმა და ინტერვიუებმა გამოავლინა, გამოცდების სტანდარტიზებული ფორმატი და სრული ანონიმურობა მის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს არავის აძლევს. მისაღები გამოცდების სისტემაში 2005 წლამდე არსებული კორუფციული პრაქტიკა ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებსა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს. ამ პრაქტიკის დაბრუნების თავიდან აცილების ერთადერთ გზად ბევრს ეეგ-ის სისტემის შენარჩუნება მიაჩნია. სტანდარტიზებული გამოცდების ყველაზე ხმამაღალი კრიტიკოსებიც კი აღიარებენ გამოცდების შემოღების აუცილებლობას იმ ეტაპზე და გამოცდების უდავო წარმატებას კორუფციასთან ბრძოლაში, მაგრამ დასძენენ, რომ გარემოებები, რომელთა გამოც თავის დროზე ეეგ დაინერგა, შეიცვალა.“**

* *„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“, 2018; მსოფლიო ბანკი, 2012; ა. ლომაია, 2006).*

* *ლელა ჩახაია, „სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში“, 2019 წელი.*

2019 წელს, ზემოხსენებული კვლევის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მუშაობა დაიწყო მისაღები გამოცდების ახალ მოდელზე. განისაზღვრა რელევანტური საგნები ტექნიკური და ჰუმანიტარული მიმართულებების მიხედვით.

2020 წელს განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი შეიცვალა. ახალი მოდელი გულისხმობდა, ერთი მხრივ, გამოცდების რაოდენობის შემცირებას 4 სავალდებულო გამოცდიდან 3 გამოცდამდე, და მეორე მხრივ, აბიტურიენტების მზაობის უკეთ შეფასებას კონკრეტული პროგრამისათვის.

ამ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი მოდელით, აბიტურიენტს შეეძლო სამი სავალდებულო გამოცდა ჩაებარებინა შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;

2. უცხოური ენა;

მესამე გამოცდა დამოკიდებული იყო პროგრამებზე. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალური ან საზოგადოებრივი მეცნიერების არჩევისას, ისტორიას ან მათემატიკას აბარებდნენ.

უმაღლეს სასწავლებლებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ მეოთხე გამოცდის დაწესება შემდეგი საგნების ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება. თუმცა, ეს სურვილი სულ რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში გამოითქვა.

სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივის გათვალისწინებით ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო იყო ოთხი გამოცდა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;

2. უცხოური ენა;

3. ბიოლოგია;

4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იყო კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30%-ისა.

2019 წლის ჩათვლით, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდასა და შემოქმედებით ტურს აბარებდნენ. 2020 წლიდან სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად შემოქმედებით ტურთან ერთად აბიტურიენტი ვალდებული იყო ჩაებარებინა მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა და, აგრეთვე, უცხოური ენა.



პანდემიის გამო უკანასკნელ წლებში გამოცდების უსაფრთხოდ და სრულყოფილად ჩატარება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის ნამდვილ გამოწვევად იქცა. გარდა იმისა, რომ ცენტრს უნდა შეეფასებინა დაახლოებით 70 000 გამოსაცდელის ცოდნა და უნარები, 2020 წელს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო თითოეული მათგანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამ მიზნით სრულიად შეიცვალა გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების სქემები. შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ამ ამოცანას ცენტრმა ისე გაართვა თავი, რომ ზაფხულის ყველაზე მასშტაბური თავყრილობა ინფექციის გავრცელების წყაროდ არ ქცეულა. რეგულაციები: იმისათვის, რომ გამოსაცდელთა უსაფრთხოების მიზნით მათი რაოდენობა სექტორებში შემცირებულიყო, გაიზარდა საგამოცდო სესიების რაოდენობა, 24 დღის ნაცვლად კი, საგამოცდო პროცესი 30 დღე გაგრძელდა. თითოეულ სექტორში არ დაიშვებოდა 10 გამოსაცდელზე მეტი. ყოველი სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იყო გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით; მაგიდებს შორის სიგანეში დაშორება 2 მეტრი იყო, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი - 1 მეტრი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ყოველ გამოსაცდელს სთავაზობდა პირბადეს (სურვილის შემთხვევაში, გამოსაცდელს შეეძლო მოეტანა საკუთარი პირბადე). ცენტრმა იზრუნა საკარანტინე სივრცეების მოწყობაზეც - კარანტინში მყოფი აბიტურიენტების სამუშაო მაგიდები აღჭურვილი იყო სამი მხრიდან გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული იყო არანაკლებ ორმეტრი-



ანი რადიუსის დისტანციით. სხვა აბიტურიენტებისგან განსხვავებით, მუშაობის დროს მხოლოდ ამ გამოსაცდელებისთვის იყო აუცილებელი პირბადის კეთება და, ასევე, გამოცდამდე PCR-ტესტის ჩატარება, რომელიც მათთვის უფასო გახლდათ. ცენტრში შემოსვლამდე გამოსაცდელები გადიოდნენ დეზობარიერს, თერმოსკრინინგს და იმუშავებდნენ ხელებს. გამოცდების მონაწილენი ზედმეტ ნივთებს ტოვებდნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას - ყველა ნივთი იფუთებოდა და საგანგებოდ ინახებოდა.

პირველი კოვიდინფიცირებული აბიტურიენტი: ერთ-ერთ საგამოცდო ცენტრში განაწილებულ აბიტურიენტს გამოცდის ჩაბარებიდან მეორე დღეს ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო ტესტირება ჩაუტარდა და კოვიდინფექცია დაუდგინდა. მის ოთახში მყოფი ცხრავე აბიტურიენტი კარანტინში მოთავსდა და ყველას ტესტირება ჩაუტარდა. არც ერთი მათგანი არ გამოეთიშა საგამოცდო პროცესს, ინფიცირებულ აბიტურიენტს კი დარჩენილი გამოცდის ჩაბარება სამედიცინო დაწესებულებაში მოუწია. ცენტრმა აღჭურვა კოვიდინფიცირებულის პალატა სამი ლეპტოპით: ერთ-ერთ მათგანში ჩაწერილი იყო თავად საგამოცდო ტესტი, მეორე განკუთვნილი იყო მოსმენის დავალებებისთვის, მესამე ლეპტოპით კი ხდებოდა მთელი საგამოცდო პროცესის ვიდეოგადაღება. გამოცდას ესწრებოდა ცენტრის მიერ საგანგებოდ გადამზადებული ორი მეთვალყურე სპეციალური ეკიპირებით. დალუქული ლეპტოპები გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტის თვალწინ გაიხსნა. მეთვალყურეებმა უზრუნველყვეს როგორც სექტორის ტექნიკურად მომზადება და აღჭურვა, ასევე საგამოცდო პროცესის ჩვეულ რეჟიმში წარმართვა - გამოსაცდელისთვის საგამოცდო წესების გაცნობა და ყველა სხვა საჭირო პროცედურის

ჩატარება. საგამოცდო პროცესი კოვიდინფიცირებულის პალატაში გახსნილ საგამოცდო ცენტრში სხვა ცენტრების მსგავად, ყველა წესის დაცვით წარიმართა. რამდენიმე დღის შემდეგ ცენტრმა გამოცდა სამედიცინო დაწესებულებაში მეორე კოვიდინფიცირებულ აბიტურიენტსაც ჩაუტარა.

2021 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო - იმ პირებისათვის, რომლებმაც კოვიდ 19-ის დადასტურებული დიაგნოზის გამო საგამოცდო ცენტრებში გამოცხადება ვერ შეძლეს, გამოცდა დამატებით ჩატარდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დროის მცირე მონაკვეთში შეძლო საგამოცდო პროცესის ორჯერ დაგეგმვა და წარმატებით ჩატარება. დამატებითი სესიები ძირითადი სესიების დასრულების შემდეგ 600-ზე მეტი მონაწილისათვის დაინიშნა. მათ შორის გახლდათ 170-ზე მეტი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი, 200-ზე მეტი აბიტურიენტი, 190-მდე საერთო სამაგისტრო გამოცდის მონაწილე და 60-მდე სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის დარეგისტრირებული პირი. ცენტრმა დამატებით სესიაზე გამოსაცდელები ინფიცირებიდან არანაკლებ 14 დღის გასვლის შემდეგ დაუშვა. ამის გამო საგამოცდო პროცესი ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა ცენტრის არსებობის ისტორიაში.

კონკრეტული საგამოცდო სესიის მონაწილეთა განსაზღვრა ხდებოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. საგნობრივმა ჯგუფებმა საგანგებოდ დამატებითი სესიებისთვის შექმნეს ტესტების განსხვავებული ვარიანტები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი: „მოხარული ვარ, რომ წლევანდელი გამოცდები, გასული წლის მსგავსად, მთელი საქართველოს მასშტაბით წარმატებით ჩატარდა. ჩვენი გუნდი მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა, რათა საგამოცდო პროცესი ყოფილიყო უსაფრთხო და თითოეული აპლიკანტის ინტერესებზე მორგებული. მიუხედავად პანდემიისა, ყველა აპლიკანტს მივეცით შესაძლებლობა, გამოცდებზე საკუთარი ცოდნა გამოევლინა. როგორც მოგეხსენებათ, კოვიდ-19-ით ინფიცირების გამო არც ერთი აპლიკანტი საგამოცდო პროცესის მიღმა არ დარჩენილა. საგანგებოდ მათთვის, ვისაც გამოცდაზე შესვლამდე კორონავირუსი დაუდასტურდა, დამატებითი საგამოცდო სესიები ჩავატარეთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოცდები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით, უსაფრთხო ვითარებაში წარიმართა. მინდა, მადლობა გადავუხადო საგამოცდო პროცესის ორგანიზებაში ჩართულ თითოეულ თანამშრომელს გამოცდების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის, ხოლო აბიტურიენტებს, მაგისტრანტობის მაძიებლებს, სტუდენტებს, მასწავლებლებსა და მასწავლებლობის მსურველებს მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ ხელი შეგიწყოთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზებაში“. (www.mes.gov.ge / 14 აგვისტო, 2021).

გამოცდები 2022

2022 წლიდან გაიზარდა მესამე სავალდებულო არჩევით საგანთა ნუსხა: მათემატიკასა და ისტორიას დაემატა საგნები: ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება. ცვლილება არ შეეხო ჯანდაცვის მიმართულების არც ერთ პროგრამას და ასევე გრანტის გაცემის წესს.

2022 წელს ცენტრს არსებობის ისტორიაში რეკორდული რაოდენობის გამოსაცდელი (90 ათასამდე) ჰყავდა. აქედან 34 500-ზე მეტი მასწავლებლის გამოცდაში მონაწილე, 41 000-ზე მეტი აბიტურიენტი, 9 500-ზე მეტი მაგისტრანტობის მსურველი, 2 500-ზე მეტი სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილე პირი. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად წელს სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 32 100-ზე მეტმა გამოსაცდელმა (რეგისტრირებულ აბიტურიენტთა 77%-ზე მეტმა), რაც ასევე უპრეცენდენტო შემთხვევაა ცენტრის არსებობის ისტორიაში.

2025 წელს განათლების სტრატეგიის მიხედვით უნდა დაინერგოს ახალი საგამოცდო სისტემა, რომელიც იქნება უფრო გამჭვირვალე, ეფექტიანი და გამოსაცდელზე მეტად მორგებული. ახლა სწორედ ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა.

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით უკვე მოამზადა „განათლების სისტემის ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის“ პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი საგამოცდო სისტემის დანერგვა. იგი ითვალისწინებს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეტ ჩართულობას საგამოცდო პროცესში და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მრავალკომპონენტიანი ჩარიცხვის მოდელის ამოქმედებას.

წლების განმავლობაში ამგვარად ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომლის მისიაა განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა შეფასების სანდო, ობიექტური მეთოდებით და კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციებით.





მნიშვნელოვანია, რომ 2005 წელს საგამოცდო პროცესის წარმატებით ადმინისტრირებისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ცენტრის თანამშრომლები: მაია მიმინოშვილი, სოსო გოგილიძე, მერაბ თოფურია, კახა ჯამბურია, სოფო დოლიძე, ივა მინდაძე, დავით ქანკოტაძე, ია კუტალაძე. კიდევ ერთი თანამშრომელი - მაია გაბუნია დაჯილდოვდა ღირსების ორდენით 2011 წელს. 2013 წელს ასევე ღირსების ორდენოსანი გახდა და 2020 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიიღო ცენტრის ქიმიის ჯგუფის ხელმძღვანელმა გია ხატისაშვილმა. საფრანგეთის მთავრობის ჯილდო „აკადემიური პალმის ორდენი“ მიიღეს სიბილა გელაძემ (2013 წ.) და ზაზა თორიამ (2021 წ.). სიბილა გელაძეს ასევე გადაეცა ეროვნული ჯილდო საუკეთესო თარგმანებისათვის (2009 და 2011 წლებში). ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის (Cultural relations Award) ბრიტანეთის საბჭოს ჯილდო გადაეცა რუსუდან ტყემალაძეს (2004 წ.). 2022 წელს კი ცენტრის ამჟამინდელი დირექტორი სოფიო გორგოძე საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მუდმივმოქმედი კომისიის წევრად აირჩიეს.

2022 წლის 22 ნოემბერს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია გამართა. კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა. კონფერენციას ესწრებოდნენ განათლების სფეროში მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები;

განათლების ექსპერტები, ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში ჩართული პირები და სხვა მოწვეული სტუმრები. ცენტრის თანამშრომლებმა, რომელთა დიდი ნაწილი ორგანიზაციაში მისი დაარსების დღიდან მუშაობს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განვლილი გზა, პირველად ჩატარებული საგამოცდო პროცესი და ის სირთულეები გაიხსენეს, რომლებიც თან ახლდა ახალი საგამოცდო მოდელის დანერგვას. კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო პრეზენტაციებს. თემატური ჯგუფების დაკომპლექტების შემდეგ გაიმართა დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორებიცაა:

- „შეფასება განვითარებისათვის“: გამოწვევები და შედეგები სკოლაში დანერგვისას;
- სამეცნიერო (STEM) კარიერასთან დაკავშირებული გამოწვევები და 15 წლის მოსწავლეების პროფესიული არჩევანი;
- TIMSS 2019 - შეფასების დავალებებზე მოსწავლეთა პასუხების ანალიზი შინაარსობრივი და კოგნიტური სფეროების მიხედვით;
- დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებული განსხვავებები საქართველოში და სხვ.

კონფერენცია - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 20 წლისაა!

WWW.NAEC.GE



თბილისი, ე. მინდელის N9

2 47 33 33

naec_official_page

naec.ge გამოცდების ეროვნული ცენტრი

www.naec.ge